№ 229 მთავრობის მოამგე

საქართველოს რესპუბლიკა

ოფიციალური გაზეთი

ფასი 10 მან. კვირა, ოქტომბრის 10 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ოფიციალური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20% რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

მეცხვარეთა საყურადღებოდ.

მატყლის შეგროვება, შენახვა, მოვლა მინდობილი აქვს მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობას

„მწყემსს“

რომლის საშუალებით მთავრობამ დაურიგა წინასწარი სესხი მეცხვარეთ.

ყოველი მეცხვარე, რომელმაც მატყლი ჩააბარა მთავრობას ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით, იმ ორი ათასი (2000) მანეთის გარდა, რომელსაც იღებს მთავრობისაგან მატყლის ადგილობრივად საფასურად, მიიღებს აგრეთვე წმინდა მოგების ნაწილს და მაშასადამე ის მატყლის საბოლოოდ განაღდებამდის ამ მატყლის პატრონად რჩება.

მატყლის განაღდებიდან მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი წესით:

1) მეცხვარეობის გასაუმჯობესებელ თანხის შესაქმნელად (ფონდი) ერთი მეათედი მოგებისა ე. ი. 10 პროც.

2) მეცხვარეს—ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით ოთხნახევარი მეათედი ესე იგი 45 პროც.

3) სახელმწიფოს—მომარაგების სამინისტროს სახით ოთხ ნახევარი მეათედი ესე იგი 45 პროც.

შეგროვილი მატყლით უპირველესად დაკმაყოფილებულ იქნება რესპუბლიკის საშინაო მოთხოვნილება, მხოლოდ დანარჩენი მატყლი განაღდებულ იქნება საზღვარ გარეთის ბაზარზე.

926 10—3 **მომარაგების სამინისტრო.**

განცხადება

1 ოქტომბერს, დაიწყო მოქმედება ტფილისში სამონოპოლიო მატყლის საწყობმა საიდანაც მატყლი გაიყიდება ბითუმად.

სოფლებში და ქალაქებში მატყლის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიათ

მომხმარებელ კოოპერატივებს

და სადაც ამნაირები არ არიან—იქ თემებს და სხ. საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

ზემო აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მატყლის შესაძენათ უნდა მიმართონ

მომარაგების სამინისტროს,

რომლიდანაც, სრული საფასურის გადახდის შემდეგ, მიიღებენ ორდერს საწყობიდან მატყლის მისაღებათ.

შენიშვნა: რესპუბლიკის ყველა კოოპერატივები საჭირო მატყლს მიიღებენ „ცეკავშირისაგან“, რომელიც მატყლს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

მატყლის უფლება-გაუფლება პერმო პირთაგან

აკრძალულია

სახელმწიფოს საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მატყლი იყიდება შემდეგ ფასებში:

ა) საშუალო ღირსების გაურეცხავი მატყლი 4000 მ.
ბ) სუფთა—ახალშორის და სხვა რაიონების 4500 მ.

კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები

ვალდებულნი არიან ადგილობრივ გაუყიდონ მატყლი მომხმარებლებს, გადასხვის ხარჯისა და 10% პროც. საორგანიზაციო ხარჯების დამატებით.

ყოველივე მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ მატყლის გამყიდველმა ორგანიზაციამ გადასატანი ხარჯები გაზვიადებულად არ იანგარიშოს.

მატყლის გამყიდავი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მატყლი თვით მომხმარებელს მიყიდონ და ნორმალურად გაანაწილონ მატყლი თავიანთ რაიონში.

შენიშვნა: სართავ-საქსოვი ფაბრიკები მატყლს მიიღებენ სამინისტროს საწყობიდან.

926 10—3 **მომარაგების სამინისტრო.**

სახელმწიფო ოპერა

10 ოქტომბერს 1920 წ.

რიგოლეტტო

მონაწილეობენ: ბოიარსკაია, იანსა, ოვსიანიკოვა, ზასლავსკაია, ნეიმანი. სარაჯიშვილი, დროზდო-პოლიავი, ისეკი, დემიანენკო, ორლიუკი, ქურხული, ეზროვი.

11 ოქტომ. 1920 წ. — **ფაუსტი**

12 ოქტომბერს 1920 წ. — **აგესალომი და ეთერი**

13 ოქტომ. **„ევგენი ონეგინი“.** წარმოდგენის დროს შესვლა საყურებელ დარბაზში აკრძალულია.

919 1—1 ოპერის დირექტორი **ს. ი. ევლახიშვილი.**

მეორე სახელმწიფო თეატრი

(ყოფილი **არტისტიული ხაზოგ.**)

კვირას 10 ოქტომბერს 12 საათზე

გაიხსნება სახელმწიფო ბალეტის სკოლა.

919 1—1 სკოლის დირექტორი **მ. ი. ფერინი.**

გორის ქალთა გიმნაზიაში

მისაღები და განმეორებითი გამოცდები

დაიწყება ოქტომბრის 13 ს.

სწავლა—ოქტომბრის 18 ს.

3088 1—1 დირექტორი **კ. გაბარაშვილი.**

გორის სამაზრო ერობის გამგეობა ამით აცხადებს,

რომ ღვინობისთვის 20-ს ამა წლის მოწვეულია

გორის სამაზრო ერობის ხმოსანთა ურიგოლოგა კ. გორში.

დღის წესრიგი:

I. ყრილობის გახსნა.
1. გამგეობის თავმჯდომარეს მოხსენება (საერთო მიმოხილვა საერობო მუშაობისა).
2. კომისიების არჩევა.

II. გამგეობის მოხსენება:
1. ადმინისტრატიული და სამხედრო საქმე მაზრაში.
2. საადგილ-მამულო და სამეჯნაო განყოფილება.
3. გზების საქმე.
4. სახალხო განათლება. აღდგენა მიწისძვრისაგან დანგრეულ სკოლებისა და ახალ სკოლების შენება. სკოლის გარეშე განათლება.
5. საზოგადოებრივი ქველმოქმედება.
6. მედიცინა (სამაზრო სანიტარია, სარაიონო მკურნალობა, სანატორიუმი, ლაბორატორია).
7. ვეტერინარია.
8. საზოგადო აგრონომია.
9. ერობის ეკონომიები.
10. ერობის საველე მეურნეობა.
11. საერობო ფოსტა და ტელეფონი.
12. ეკონომიური განყოფილება: მუნიციპალური მრეწველობა და ვაჭრობა (სამხედრო ქარხანა და ხე-ტყის დამზადება, საპნისა და ტყავის ქარხნები, საწყობი და მაღაზიები. ტრანსპორტი.
13. საერობო სტატისტიკა.
14. ერობის პერიოდული გამოცემა.
15. ერობის საკუთარი უბნის აშენება გორში.
16. ერობის ფინანსები.
17. სარწყავი არხები: ტირიფონის ველი და დოღლაური.
18. ტყის კულტურა მაზრაში.
19. დაგეგმა მიწის ძვრისაგან დანგრეულ სოფლებისა.
20. ცხინვალის რკინის გზა.
21. ერობათა კავშირი.
22. პროექტი სათემო დებულებისა. თემების ფინანსები. საკითხი ერობისა მთაოსეთში
23. დაარსება ახალ თემებისა და გასწორება საზღვრებისა.
24. რეკვიზიციები.

III. ხარჯთაღრიცხვა 1920-1921 წლ.

IV. 1. გამგეობის ანგარიში (1 აპრილიდან 1919 წ. 1 ივნისამდე 1920 წ.)
2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა.

V. არჩევნები.

928 3—3

საქართველოს ლაშქრის მთავარი საინჟენერო საწყობი

ამით აუწყებს მსურველთ, რომ შაბათს 16 ოქტომბერს, დილის 10 საათზე აღნიშნულ საწყობში დანიშნულია წინასწარი ვაჭრობა სამხედრო უწყების ძველ თვითმავალებზე. შეჯიბრების შედეგის დამტკიცება უნდა მოხდეს ტეხნიკურ სექციისაგან. მსურველებმა უნდა შეიტანონ ვაჭრობის დაწყებამდე განცხადება და 10% გასაყიდი თვითმავალის შეფასებულ ჯამისა საჯარო ვაჭრობის თავმჯდომარის სახელზე. ცნობების მიღება და მანქანების დათვალიერება შეიძლება იმავე საწყობში (არსენალი) 9-დან 12 საათამდის ა. წ. 12 ოქტომბრიდან.

3043 3—3

მთავარი საინჟენერო საწყობი ამით აცხადებს,

რომ მიმდინარე წლის 16 ოქტომბერს დიდუბიდან არსენალში მანქანის ნაწილების გადასატანათ (3.000 ფუთი) დანიშნულია **იჯარით აღების საჯარო შეჯიბრება,** რომელიც მოხდება საინჟენერო საწყობის სამწერლოში დილის 11 საათზე, მსურველებმა უნდა წარმოადგინონ გარდა პირადობის მოწმობისა 20% განცხადებულ ფასისა. ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე საინჟენერო საწყობის სამწერლოში (არსენალი).

3043 3—3

სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა

ამით აცხადებს. რომ ამა 1920 წლის 30 ოქტომბერს დანიშნულია სამაზრო ერობის ხმოსანთა მეოთხე მორიგი ყრილობა. ყრილობა გაიხსნება ქ. სენაკში, გამგეობის დარბაზში, დილის 9 საათზე,

გასარჩევი.

1. განხილვა და დამტკიცება 1919 წლის ხარჯთა-აღრიცხვისა
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. გამგეობის თავმჯდომარის და წევრების არჩევნები.
4. კიწია სალხინოს უბნის მომრიგებელ მოსამართლის არჩევა,
5. მიმდინარე საკითხები.

2973 3—2 სენაკის სამაზრო ერობის **გამგეობა.**

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგისა.

დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: თელავის ტყის გამგის თანაშემწე ივ. მ. ჭიკაძე თანახმად მისი თხოვნისა.

16 ენკენისთვე, 1920 წ. № 322.

განთავისუფლდა თანამდებობიდან: დროებით მოწვეული მიწათ-მოქმედების სამინისტროს გადასახლების განყოფილების საქმის მწარმოებლის თან შემწე შალვა გიორგის ძე ნათაძე ამა წლის 4 აგვისტოდან.

18 სექტემბერი, 1920 წ., № 323.

ინიშნება: აგრონომი ვლადიმერ დიმიტრის ძე ხოფერია ქუთაისის საშუალო სამეურნეო სასწავლებლის დირექტორად ამა წლის სექტემბრის 15-დან.

№ 324.

დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: წყალთა განყოფილების საქმის მწარმოებელის თანაშემწე ნინო მიხეილის ასული ციკარიშვილი სალიკვიდაციო ჯილდოს მიუცემლად 15 სექტემბრიდან-

20 სექტემბერი 1920 წ., № 325.

დანიშნულია: აგრონომი ალექსანდრე ივანეს ძე მარქაროვი სამინისტროს მესაქონლეობის უმცროს სპეციალისტად ა. წ. ენკენისთვის 5-დან.

20 სექტემბერი 1920 წ., № 326.

დაევალოს: დიმიტრი კვირიკაშვილს სასოფლო მეურნეობის განყოფილების მესაქონლეობის ინსტრუქტორის დროებით აღმასრულებლის თანამდებობა ა. წ. სექტემბრის 2-დან

20 სექტემბერი 1920 წ., № 327.

დამტკიცებულია: შორაპნის ტყის გამგის მეორე ხარისხის თანაშემწის ვალდებულობის აღმასრულებელნი იოსებ სიმონის ძე გურგენიძე და ზაქარია რომანოზის ძე ბუაჩიძე ტყის გამგის თანაშემწის თანამდებობაზე.

20 ენკენისთვე 1920 წ. № 328.

დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: ბორის ტყის გამგის მეორე ხარისხის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი პეტრე ექვთიმეს ძე ქლენტი თანახმად თავის თხოვნისა.

22 სექტემბერი, 1920 წ., № 329.

ინიშნება: ტეხნიკი არკადი ივანეს ძე კოვალსკი ფოთის ჭაობების დასაშრობ პარტიაში ამა წლის 7 სექტემბრიდან.

№ 330.

ინიშნება: ინჟენერი დანიელ სერგოს ძე ვოლკოვი ფოთის ჭ ობის დასაშრობ პარტიაში ამა წლ. 6 სექტემბრიდან.

23 სექტემბერი, 1920 წ. № 331.

დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: სამინისტროს იურისკონსულტი ა. ბებურიშვილი თანახმად თხოვნისა 1 სექტემბრიდან.

24 სექტემბერი, 1920 წ., № 332.

დათხოვნილია: სამსახურიდან სალიკვიდაციოს მიცემით სოხუმის თამბაქოს საკდელ პლანტაციის ტეხნიკი აბრამოვიჩი შტატის შემცირების გამო ა. წ. სექტემბრის 1 დან.

25 ენკენისთვე 1920 წ., № 333.

დანიშნულია: სახელმწიფო მამულთა განყოფილების მდივნათ ზაქარია მიხეილის ძე კლიმიაშვილი ა. წ. 1 ენკენისთვიდან.

25 ენკენისთვე 1920 წ., № 334.

დათხოვნილია: წინანდლის სახელმწიფო მამულის უმცროსი მეღვინე ალექსანდრე იობიძე ა. წ. 1 ენკენისთვიდან თანახმად განცხადებისა და ნება დაურთველად სამსახურის მიტოვებისათვის.

25 ენკენისთვე 1920 წ., № 335.

გადაყვანილია: 1) სასოფლო-სამეურნეო განყოფილების საცდელ საქმის სექციის საქმის მწარმოებელი გ. ა. მარტიროსოვი სასოფლო მეურნეობის უმაღლეს კურსების მდივნის თანამდებობაზე (იგივე სამეურნეო ნაწილის გამგე) ა. წ. ოქტომბრის 1-დან.

2) სას. მეურნ. განყოფილების მანქანით გადამწერი ნ. ე. შმაკოვისა სას. მეურ. უმაღლეს კურსების იმავე თანამდებობაზე ა. წ. ოქტომბრის 1-დან.

3) სახელმწიფო მამულთა განყოფილების შიკრიკი ნ. ბაკაროვი სას. მეურ. უმაღლეს კურსების შიკრიკის თანამდებობაზე ა. წ. ოქტომბრის 1-დან.

დანიშნულია: ს. ჰოლტავსკი მიწ. მოქ. სამინის. სას. მეურ. უმაღლეს კურსების შიკრიკის თანამდებობაზე ა. წ. ოქტომ. 1-დან.

28 სექტემბერი, 1920 წ., № 336.

დათხოვნილია: სოფლის მეურნეობის მავნებელთა მებრძოლ ბიუროს ინსტრუქტორი ი. ბერძენიშვილი სამსახურიდან ა. წ. ოქტომბრის 1-დან თანახმად მისი თხოვნისა.

28 ენკენისთვე, 1920 წ., № 337.

დანიშნა: ტფილისის მაზრაში საგადასახლებო ფონდის გამოსარკვევად და გადასახლების საქმის მწარმოებლად ზედმეტ სამუშაოზე ბორჩალოს მაზრის საგადასახლებო საქმის სარაიონო გამგე გ. ასათიანი ა. წ. 1 ენკენისთვიდან.

24 ენკენისთვე 1920 წ., № 338.

დანიშნულია: ყარაიაზის სახელმწიფო მამულში მეტროლოგიის თანამდებობაზე

შავი ზღვით.

ჭ. გაგრის, ჭ. გუდაუთის, ახალი ათონის, ჭ. სოხუმის, ჭ. რჩემჩირის, ჭ. ანაკლის, ჭ. ფოთის და ჭ. ბათომის ნავთსადგურებით.

სია.

რკინის გზის სადგურებისა, სადაც შეიძლება არა ნაკლები 8 სული სამრეწველო საქონლის ვაგონებით გადაყვანა-გადმოყვანა და წყლის დალევინება.

		ოპერაციათა აღნუსხვა.			
		დატვირთვა.	დადატვირთვა.	წყლის დალევინება ტრანზიტით გატარებულ საქონელსა.	წყლის დალევინ. სადგურთან მიმავალ ან ვაგონებიდან გადმოტვირთულ საქონელსა
რკინის გზები.	რკინის გზის სადგურები.				
სახელმწიფო მთავარი რკინის გზა.	ბათუმი საბარგო	დ.	გ.	წდ.	
	ქობულეთი	დ.	გ.		
	ნატანები	დ.	გ.		
	სუპსა	დ.	გ.	წდ.	
	ლანჩხუთი	დ.	გ.		
	ნიგოითი	დ.	გ.		
	საჯავახო	დ.	გ.		
	სამტრედია	დ.	გ.	წდ.	
	რიონი	დ.	გ.	წდ.	
	ქუთაისი	დ.	გ.	წდ.	
	შორაპანი	დ.	გ.	წდ.	
	ბელაგორი	დ.	გ.	წდ.	
	ხაშური	დ.	გ.	წდ.	
	გორი	დ.	გ.	წდ.	
	კასანკა	დ.	გ.	წდ.	
	მცხეთა	დ.	გ.	წდ.	
	ტფილისი	დ.	გ.	წდ.	
	ნავთლუხი	დ.	გ.	წდ.	წდ.
	ყარაიაზი	დ.	გ.	წდ.	
	ფოილო	დ.	გ.		
	აბაშა	დ.	გ.		
	ახალსენაკი	დ.	გ.		
	ჭალადიდი	დ.	გ.		
	ფოთი	დ.	გ.		
	ბორჯომი	დ.	გ.	წდ.	
ტყიბულის რკინ. გზის შტო.	ტყიბული	დ.	გ.		
	შორაპანი	დ.	გ.	წდ.	
ჭიათურის რკინ. გზის შტო.	ჭიათურა	დ.	გ.	წდ.	
	საჩხერი	დ.	გ.	წდ.	წდ.
ყარსის რკინის გზა.	სანდარი	დ.	გ.		
	სადახლო	დ.	გ.	წდ.	
	სანაინი	დ.	გ.	წდ.	
კახეთის რკინის გზა.	ნავთლუხი კახეთისა	დ.	გ.	წდ.	წდ.
	საგარეჯო	დ.	გ.	წდ.	წდ.
	ბადიაური	დ.	გ.	წდ.	წდ.
	მელაანი	დ.	გ.		
	გურჯაანი	დ.	გ.	წდ.	წდ.
	წნორის წყალი	დ.	გ.	წდ.	წდ.
	მოკუზანი	დ.	გ.	წდ.	წდ.
	ვაჩნაძიანი	დ.	გ.	წდ.	წდ.
	თელავი	დ.	გ.	წდ.	წდ.

მთავრობის თავმჯდომარის მადლობა.

სვანეთის განიარაღების საქმის ხელმძღვანელ კომისიას, ლეჩხუმის სამაზრო ერობას, ლეჩხუმის გვარდიას, სვანეთის მილიციას.

მთავრობის თავჯდომარემ მოისმინა რა სვანეთისა და ლეჩხუმის საგანგებო რწმუნებულის რ. ყიფიანის მოხსენება სვანეთის განიარაღების შესახებ, საჭიროდ დაინახა ულრმესი მადლობა გამოეცხადებია ყველა იმათთვის, ვინც მონაწილეობა მიიღო აღნიშნულ განიარაღებაში პირადი შრომით, რჩევით თუ საქმის ხელმძღვანელობით, მთავრობის თავმჯდომარეს ფრიად საყურადღებოთ მიაჩნია განსაკუთრებით ის, რომ ასეთი რთული და პასუხსაგები საქმე, როგორიც არის ამა თუ იმ კუთხის განიარაღება, დამთავრდა სრულიად მშვიდობიანად: ეს მით უფრო ღირშესანიშნავია, რომ განიარაღების საქმეში აქტიურ მომუშავეებს, სახელდობრ, განიარაღების ხელმძღვანელ კომისიას, ლეჩხუმის სამაზრო ერობას, ლეჩხუმის გვარდიას და აგრეთვე სვანეთის მილიციას და მის უფროსს ბ-ნ გაბლონიას დიდი დაბრკოლებების ძლევა მოუხდათ. ამ ორგანოთა შეთანხმებული და ენერგიული მიქმედება თავდებია, მთავრობის თავმჯდომარის აზრით, მშრომელ-დემოკრატიის მტკიცე სახელმწიფოებრივ ნებისა და საქართველოს დიდ ცივილიზაციის გამოსაკვეთად.

მოვარაგების სამინისტროსაგან.

1) თანახმად მთავრობის 30 სექტემბრის დადგენილებისა, არავის არა აქვს უფლება გამოიტანოს ხორბლეულობა გორის, სიღნაღის, თელავის და ახალციხის მაზრებიდან. გარდა მომარაგების სამინისტროსი.

2. მხოლოდ იმ პირთ, ვისაც ზემო აღნიშნულ მაზრებში აქვთ თავიანთ საკუთარი ჭირნახული, არა ყიდვით შეძენილი, არამედ ან ღალა თავის მამულის ან საკუთარი ან მისი ოჯახის ნამუშავარი,—მას უფლება ეძლევა გამოიტანოს მაზრიდან თავის ოჯახის საჭიროებისათვის ოჯახზე თვიურ სახარჯოთ არა უმეტეს ხუთი ფუთისა, ე. ი. სამოცი ფუთი წლიურათ. ამ რაოდენობის გამოტანა შეიძლება როგორც ერთად, ისე ნაწილობრივ.

ზენიშვნა: ხორბლეულობა უნდა გამოგზავნილ იქნეს რკინის გზით.

3. ხორბლეულობა, საქონლის მატარებლით, თუ ბაგაკით, უნდა გამოგზავნილ იქნეს აუცილებელ მომარაგების სამინისტროს სახელზე სადგურ ტფილისში, სადაც სათანადო საბუთების წარმოდგენის შემდეგ მიეცემა პატრონს ხორბლეულობა.

4. საბუთებათ საჭიროა: ა) მოწმობა ადგილობრივ ერობის ან თემის, რომ წამოღებული ხორბლეულობა არის წამომღების საკუთრება და რომ იგი არ არის მის მიერ შესყიდული, თანახმად ამ დადგენილების მეორე პუნქტისა; ბ) პასპორტი ან სხვა მოწმობა პიროვნების; გ) მოწმობა უბნის კომისარის მისი ოჯახის წევრთა ვინაობის და საცხოვრებელის ბინის მისამართი.

5. სადგურ ტფილისში დანიშნულია მომარაგების სამინისტროს რწმუნებული, რომლის მოვალეობაც არის ამგვარად გამოგზავნილი ხორბლეულობის გამოსაგზავნი და მიღები დოკუმენტების შემოწმება და კანონიერად გამოგზავნილი ხორბლეულობის მის პატრონისადმი გადაცემა და რეგისტრაცია.

6. თუ ხორბლეულობის გამგზავნი ვერ წარმოადგენს ამ დადგენილების მე-4 მუხლში აღნიშნულ საბუთებს, ან ყალბ საბუთებს წარმოადგენს, ან ჯასასყიდათ ჩამოიტანს-ერთმევა ხორბლეულობა უსასყიდლოთ და თვით გამომგზავნი პასუხის გებაში იქნება მიცემული.

8. საზოგადო დაწესებულებანი, რომლებიც მისცემენ ხორბლის გამომტანს ყალბს მოწმობას, აგრეთვე იქნებიან პასუხის გებაში მიცემულნი.

მომარაგების სამინისტრო.

მთავრობაში

უკანასკნელი დადგენილებანი.

რკინის გზის აღმშენებლობა.

შესაძლებლად იქნას ცნობილი ახალქალაქ სენაკ-ზუგდიდის რკინის გზის შტოს გაგრძელება ქალ. ზუგდიდამდი გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის მიერ წარდგენილ ვარიანტის თანახმათ იმ პირობით, თუ ზუგდიდი შტოს გაყვანისათვის საჭირო მიწის სამუშაოს თავის თავზე მიიღებს.

სამოქალაქო მდგომარეობის აქტები.

მიღებულ იქნას იუსტიციის მინისტრის მიერ წარდგენილი კანონ პროექტი სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ. გადაწყდა პროექტი დამფუძნებელ კრებაში შეიტანონ.

ცენტრალური საფოსტიაქო საწყობები.

მიღებულ იქნას პრინციპიალურად მოხსენება ცენტრალური საფოსტიაქო საწყობის 2 ლაბორატორიის დაარსების შესახებ. გადაეცეს არსებული საწყობი სახალხო ჯანმრთელობის დეპარტამენტს თავის განკარგულებისათვის და მიანდონ ფინანსთა მინისტრს, სახელმწიფო კონტროლს ჯანმრთელობის დეპარტამენტთან ერთად შეიმუშავონ შტატი და ხარჯთაღრიცხვა და წარუდგინოთ იგი მთავრობას.

მთავრობის თავმჯდომარესთან.

ოქტომბრის 8 მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჯორდანია ინახულა ინგლისის უმაღლესმა კომისარმა პოლკოვნიკმა სტოკსმა და ხანგრძლივი მოლაპარაკება ჰქონდა მასთან. მთავრობის თავმჯდომარე ინახულა აგრეთვე ევროპის სოციალისტთა დელეგაციის წევრმა დებრიუკერმა და ზუგდიდის ერობისა და ქალაქის თვითმართველობის დელეგაციამ.

მიღების დრო.

მთავრობის თავმჯდომარე იღებს მთხოვნელებს მხოლოდ ოთხშაბათობით 12—2 საათამდე. მთავრობის სახლში. მთხოვნელები უეჭველად 10—12 საათამდი უნდა ჩაეწერონ.

უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

გერმანიის სავაჭრო პალატის მემორანდუმი.

გერმანიის სავაჭრო პალატამ შეიტანა მთავრობის განსახილველად მემორანდუმი, სადაც აღნიშნულია ყველა მიზეზი, რომელიც ხელს უშლის გერმანიას მოაგვაროს თავისი ეკონომიური ცხოვრება და მოაწყოს ექსპორტი საზღვარ გარეთ. მემორანდუმი პირველ ყოვლისა აღნიშნავს ვალიუტის საქმის გართულებას. პალატა მოითხოვს მთავრობამ გადამწყვეტი ზომები მიიღოს მარკის კურსის გასაუმჯობესებლათ.

გერმანიაში მოსალოდნელი მთავრობის კრიზისი.

„ტანი" იუწყება, რომ ბერლინიდან მოსულ ცნობებით გერმანიაში მოსალოდნელია მთავრობის კრიზისი. განსაკუთრებით შეირყა საგარეო საქმეთა მინისტრის სიმონსის მდგომარეობა. სოციალისტური პრესა ძლიერ კამპანიას აწარმოებს ფერენბახის წინააღმდეგ. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ გერმანიაში მალე გადადგება მთავრობა.

ტიფთან ბრძოლა.

არტურ ბალფურმა ყველა იმ სახელმწიფოთა მთავრობებს რომლებიც ლიგაში შედიან, მიმართა თხოვნით, რუსეთში და პოლონეთში ტიფის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიღონ 250.000 გირ. სტერლინგი.

ერთა ლიგის კონფერენცია.

ერთა ლიგა 1921 წლის იანვარში ბარსელონაში იწვევს კონფერენციას საერთაშორისო ტრანზიტის მოსაწყობათ. კონფერენცია დაამზადებს პროექტებს რკინის გზით მოგზაურობის გაუმჯობესების, საერთაშორისო ბილეთების განახლების, საბაჟოთა ფორმალობის გამარტივების, პასპორტების მიღებისა, ვიზის და სხვათა შესახებ. ამ კონფერენციაზე სხვათა შორის მოიწვევენ გერმანიის, ავსტრიის, ბულგარეთის და უნგრეთის მთავრობებს.

საბჭოთა რუსეთში.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტო).

ამერიკა საფრანგეთი და რუსეთი.

ამერიკის მმართველ პირებს, ისე როგორც საფრანგეთის, არა ერთხელ უთქვამთ, რომ ეხინი მხოლოდ მაშინ იცნობენ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას, როდესაც უკანასკნელი აღიარებს რუსეთის წინანდელ მთავრობის ვალებსო. საფრანგეთი ძილიონებს ხარჯავს ვრანგელის დასახმარებლად, მაგრამ პოლონეთი ჩვენთან ზავს კრავს და ვრანგელი განმარტოებით რჩება, და არა ამერიკა ეჩქარის დაეხმაროს ობოლს. აქ საფრანგეთის და ამერიკის ფულები სტირიან. სერიოზულ საიდუმლო წინადადებებს აძლევს ვრანგელს არა მარტო ამერიკა, არამედ რუმინეთი და უნგრეთი. ვრანგელის ზურგს უკან ამერიკის საფრანგეთი და სხვათა დაუღალავი ბურჟუაზიები არ ფიქრობენ მოსვენებას. აი რატომ არ განვთავისუფლდებით ჩვენ მათი თავდასხმისაგან, სანამ არ გავანადგურებთ ვრანგელს ამხანაგო. ან შენ არ იქნები მტერი უცხოელის ბურჟუაზიისა, ან შენ უნდა დაამარცხო ვრანგელი. წერაქვი ნამგალი და ხიშტი უნდა გაერთიანდენ ამ უკანასკნელ ბრძოლაში.

საერთაშორისო მდგომარეობა.

„კომტრუდი" სწერს: ზოგიერთი ფრონტები ამ უკანასკნელ ხანებში გარდატეხის შთაბეჭდილებას სტოვებენ. სამხედრო კომიტეტმა რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ განაცხადა:

პოლონეთთან ზავია, მახნო დაანგრევს ვრანგელის ზურგს, ანტანტის შორის კიდევ განხეთქილებაა. ასეთ ფორმულაში ისახება აქტივისტების მოლოდინი. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ვიყოთ აქტივისტები. სამი წლის განმავლობაში შეძენილი გამოცდილება გვიკარნახებს ჩვენ არ უცადოთ რაიმე დამარცხებას და წინასწარ ავიცდინოთ იგი, რომ ყოველი მარცხი მივიღოთ როგორც დროებითი.

ანტანტის უთანხმოება მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოგვადგება თუ ჩვენ ვრანგელს დავამარცხებთ. ახალი კოალიცია მახნოსთან ამტკიცებს, რომ ჩვენი ჯარი გარდატეხის წინ სდგას. მახნო უეჭველად იმას ამოუდგება გვერდში, ვისაც გამარჯვება მოელის მომავალში. და მახნოს ჩვენ მხარეზე გადმოსვლა ამ მხრით საყურადღებოა. უკანასკნელ ხანებში სამხედრო ცნობებში ჩვენ ასეთ ადგილებს ვკითხულობთ: დონეცის ხეობის საზღვარი და ეკატერინოსლავი ვრანგელის ბანდებიდან დაცულია. სინელნიკოვი და მარიუპოლი კვლავ ჩვენ ხელშია. მაგრამ ჩვენ არ უნდა შევჩერდეთ დაწყებულ გარდატეხის პროცესის წინ. ჩვენ უნდა მივიღოთ ზომები რომ ეს გარდატეხა ჩვენი სრული გამარჯვებით დასრულდეს. უპირველესად ყოვლისა ჩვენ სამხრეთის ჯარებს უნდა მივაწოდოთ პირველი საჭიროების საგნები, ვინაიდან ურევოლიუციონერესი არმიაც კი უმოქმედო არმიად გადაიქცევა თუ იგი სიცივით გაიყინა.

წითელი ფრონტის დახმარება.

პეტერბურგისა და მოსკოვის მუშები უკვე შეუდგნენ წითელი ფრონტის დახმარებას. მდელმა წითელმა რუსეთმა უნდა დაუჭიროს მხარი ამ დიდ აღფრთოვანებას. დაეჩქარეთ ჩაცვათ, გაათბოთ და დაახუროთ წითელ ჯებრძოლებს. დრო არ იცდის.

წითელი არმიის გასაძლიერებლად.

როსტოვი სამხრეთ-აღმოსავლეთის შრომის არმიის დონის რევოლიუციონურმა საბჭომ წითელი არმიის გასაძლიერებლად შეკრიბა ოთხი ათასი მუშა საუკეთესო წარმომადგენლები დონის პროლეტარიატისა.

მოქმედების კომიტეტი.

ინგლისის მუშების მოწყობილმა „მოქმედების კომიტეტმა" რუსეთთან ზავის ჩამოგდების და მასთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენის სასარგებლოდ დიდი დემონსტრაცია მოაწყო. თემთა პალატაში მყოფი მუშები ფიქრობენ ამ მიზნით მოახდინა გავლენა მთავრობაზე.

პროფესიონალურ კავშირის სეკრეტარიატი.

ზედამხედველობა წისქვილებზედ.

შრომის სამინისტრო ქალაქის სასურსათო განყოფილებასთან შეთანხმებით აწარმოებს წისქვილებზე და ფურნეებზე დაწესებულ კონტროლის რეკონსტრუქციას, შრომის სამინისტროსა და სასურსათო განყოფილების აზრით უქმდება კონტროლის ორმოცი სისტემა. არსდება კონტროლის ერთი სისტემა სასურსათო განყოფილების მხრივ. კონტროლიორებათ პროფესიონალური კავშირების მიერ არჩეული პირები დაინიშნებიან. კონტროლიორები პასუხისმგებელნი არიან როგორც პროფ. კავშირების ისე სასურსათო განყოფილების წინაშე. კონტროლიორებს პურის საქმის აგენტები ეწოდება. სულ განზრახულია 30 აგენტის დანიშვნა. პროფეს. კავშირების სეკრეტარიატი გაეცნო რა ასეთ პროექტს, დაადგინა დაამტკიცოს იგი და მისცეს წინადადება პროფ. კავშირებს წარმოადგინონ თავის მხრივ კანდიდატები.

უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

სეკრეტარიატმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს წინაშე მის შემადგენლობაში პროფ. კავშირთა წარმომადგენელების შესვლის შესახებ.

საავადმყოფოთა კასების კონფერენცია.

სეკრეტარიატმა დაადგინა მიიღოს ენერგიული მონაწილეობა საქართველოს საავადმყოფო კასათა კონფერენციის მოწვევის საქმეში და გააგზავნოს ამ კონფერენციაზე დასასწრებლად დედრიხსონი და ბერეჟიანი.

წითელ ადერბეიჯანში.

ლიტვა და ადერბეიჯანი.

ლიტვის წარმომადგენელმა ადერბეიჯანის რესპუბლიკის საგარეო კომისარს მიმართა შემდეგი განცხადებით: ჩემდამი მოღწეულ ცნობით აზერბეიჯანში მცხოვრებ ლიტველ მოქალაქეთა და ლიტვას საკონსულოს მდგომარეობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი, აზერბეიჯანისა და ლიტვის მთავრობას შორის ფორმალურ კავშირის უქონლობის გამო. ლიტვის წარმომადგენელმა აზერბეიჯანის წარმომადგენელს შემდეგი აცნობა: 1. ლიტვამ მე წარმომგზავნა თავის წარმომადგენლათ აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკებთან. ლიტვა ანგარიშს არ უწევს ამ შემთხვევაში მთავრობისა და წყობილების ფორმის შეცვლას და ის ერთგული რჩება ერთა თავისუფალი თვით გამორკვევისა და მათ შინაურ საქმეში ჩაურევლობის პრინციპისა. 2. ლიტვის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ფორმალური აქტები დაიდება მხოლოდ დამფუძნებელ კრების სანქციით, რომელიც სულ ორი თვეა რაც შეიკრიბა. 3. თვით ფაქტი წარმომადგენელის დანიშვნისა მოწმობს ლიტვის მიერ ამიერ კავკასიის რეს-

პუბლიკათა დამოუკიდებლობის აღიარებას. 4. ვინაიდან ზემოდ აღნიშნული მიზეზებით აზერბეიჯანის მთავრობასთან რჩება ლიტვის წარმომადგენლობა, ამიტომ აზერბეიჯანის მთავრობას არა აქვს საბუთი გამოიცვალოს თავის დამოკიდებულება აზერბეიჯანში მცხოვრებ ლიტველებთან და ლიტვის საკონსულოსთან. 5. ლიტვის დამოუკიდებლობაზე უარის თქმა არ შეიძლება გამართლებულ იქმნას საბჭოთა რუსეთისა და ლიტვის დამოუკიდებლობით, ვინაიდან ამ ჟამად არაა რუსეთისა და ლიტვის ხალხის ძმურათ ცხოვრების დამბრკოლებელი მიზეზი. ის, რაც ზემოდ მოგახსენეთ ვფიქრობ საკითხის გადაწყვეტისათვის საკმაოა. მე როგორც ლიტვის მთავრობის წარმომადგენელი ვთხოულობ აღიაროს აზერბეიჯანმა ლიტვის დამოუკიდებლობა.

შეთანხმება ლიტვისა და აზერბეიჯანის შორის.

ზემოდ აღნიშნული ლიტვის წარმომადგენელის ნოტის შემდეგ ლიტვისა და აზერბეიჯანის მთავრობის შორის მოხდა შეთანხმება შემდეგ საფუძვლებზე: 1. აზერბეიჯანის მთავრობა თავის ტერიტორიაზე მცხოვრებ ლიტველებს ანიჭებს იმ უფლებებს, რაც მინიჭებული აქვს რუსეთში მცხოვრებ ლიტველებს თანახმად ივლისის 12 სამშვიდობო ხელშეკრულებისა. 2. ლიტვის მთავრობა ლიტვის ტერიტორიაზე მცხოვრებ აზერბეიჯანელებს ამგვარივე უფლებებს ანიჭებს. ეს შეთანხმება ძალაში შედის სათანადო ხელის მოწერის დროიდან.

ახალი ამბები

ხალხთა განმრთელობის დეპარტამენტში. ხალხთა განმრთელობის დეპარტამენტმა დაამუშავა ბიულეტენი გადამდებ სენთა მსვლელობის შესახებ სექტემბრის 22-დან სექტემბრის 30-მდე. აღნიშნულ დროს განმავლობაში შენიშნულია შემდეგი ავადმყოფობანი: სექტემბრის 29-მდე ბათომში შავი ჭირით ავად იყო 27 კაცი, კვირის განმავლობაში გახდა ავად 11, მოკვდა 5, მორჩა 11, სექტემბრის 30 საავადმყოფოში იწვა 22 ავადმყოფი, ტფილისში სექტემბრის 22-მდე ხოლერით ავად იყო 10 კაცი, ერთი კვირის განმავლობაში გახდა ავად 6, მოკვდა 1, მორჩა 10, დარჩა საავადმყოფოში 5.

საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა. საზღვარგარეთიდან დაბრუნებული საქართველოს დელეგაციის წევრი და წევრი დამფუძნებელი კრებისა ი. ჯ. გობეჩია ოქტომბრის 8 გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში. მისი მიზანია სახალხო ლექციის კითხვა დელეგაციის მუშაობის და საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

დამფუძნებელ კრებაში. დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ამხანაგმა ა. ლომთათიძემ აიღო ერთი თვის შვებულება და მისი მოვალეობის აღსრულება დაევალა ს. გ. მდივანს.

პროპაგანდის კომისია. პროპაგანდის კომისიის დავალებით თელავის მაზრაში წავიდა დამფუძნებელ კრების წევრი დ. ჩხეიძე.

კანონის დარღვევისათვის. განათლების სამინისტრომ სთხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროს დასაჯოს ადმინისტრატიული წესით დაჯარიმებით ან ციხეში დამწყვდევით ყველა ის სტამბის მეპატრონეები, რომლებიც არღვევენ 1919 წ. დეკემბრის 16 კანონს დაბეჭდილ ნაწარმოებთა 12 ცალად განათლების სამინისტროში წარმოდგენის შესახებ.

რკინის გზის მოხამხახურეთა ხახურხათი კომისარი. საქართველოს რკინის გზის მოსამსახურეთა სასურსათო კომისარმა სავაჭრო დამოკიდებულება დაიკავა ისპანიასთან. მადრიდიდან უკვე მოვიდა 4 ვაგონი საბავშვო და ქალთა ფეხსაცმელები და 5 ვაგონი მანუფაქტურა. სასურსათო კომისარმა ამისთანავე ხელშეკრულება დასდო ისპანიის ფირმა ვალაცისთან ტყავეულობისა და მანუფაქტურის მოწოდების შესახებ.

თეატრი პანორამა. „პანორამას" ამხანაგობა იუწყება: მთავრობის დახმარებით მის მიერ დაწყებული შენობის აგება ამ მოკლე ხანში დასრულდებაო. სურათი „გოლგოთა", რომელიც მიუნხენის ცნობით მხატვრობის მიერ არის დახატული, უკვე ჩამოიტანეს ტფილისში. თეატრში სახალხო წარმოდგენები გაიმართება. თეატრი დაიტევს 5.000 კაცს.

ხალამოს ხამუშაო. სოხუმის შრომის კომისარი შეეკითხა შრომის სამინისტროს სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებების მოსამსახურეებმა უნდა მიიღონ თუ არა ზედმეტ სამუშაოსათვის ჯილდო და ან ვალდებულნი არიან თუ არა რომ იმორიგეონონ. შრომის სამინისტრომ უპასუხა ხსენებულ დაწესებულებათა მოსამსახურეების სამუშაო დღე განსაზღვრული არაა და მორიგეობა კი უნდა გასწიონ თუ ამას საქმის ინტერესები მოითხოვსო.

მუშათა სახახლე ფოთში. ფოთის ნავთსადგურის მუშათა საავადმყოფოს კასის გამგეობამ სთხოვა შრომის სამინისტროს ნებართვა, რომ თავის საშუალებიდან ფოთის მუშათა სასახლის ასაგებათ გამოიღოს 500.000 მანეთი, იმ პირობით, რომ სასახლეში კასის გამგეობას დაეთმოს 5 ოთახი. შრომის სამინისტრომ დააკმაყოფილა ეს შუამდგომლობა, მხოლოდ საავადმყოფო კასას უნდა დაეთმოს საჭირო ოთახები.

რკინის გზელთა ყრილობა. რკინის გზელთა პროფ. კავშირების გამგეობა ფიქრობს უახლოეს დროში მოიწვიოს სახაზინო რკინის გზების მოსამსახურეთა მუშების წარმომადგენლების მორიგი ყრილობა პროფესიონალური კავშირების სეკრეტარიატში.

ოთხშაბათს 11 ოქტომბერს. სახალხო სახლში არს. ქართულ წარმოდგენათა მართველ წარის. მიერ წარმოდგენილ იქნება დღეს „ოცდა ერთი ჯვრით."

გეოგრაფიის სახელმძღვანელო. ქალთა გიმნაზიის მასწავლებელმა ლ. სტავინსკიმ განათლების სამინისტროს სასწავლო კომიტეტს წარუდგინა განსახილველად თავის მიერ შედგენილი დასავლეთ საქართველოს გეოგრაფია ქართულ ენაზე.

სოციალისტური დელეგაცია და შავი ზღვის მხარე.

სოციალისტურმა დელეგაციამ გიუსმანსის სახით შავი ზღვის მხარის გლეხების დელეგატს ნიკოლაევს შემდეგი წერილით მიმართა: „ძვირფასო მოქალაქე. დასავლეთ ევროპის სოციალისტების დელეგაციამ კმაყოფილებით მიიღო დღეს დილით თქვენი ორგანიზაციის წევრი და დიდი ინტერესით წაიკითხა თქვენი მოხსენება. დელეგაცია მოვალეთ სთვლის თავს აცნობოს ევროპის პროლეტარიატს ის მძიმე პირობები რომელშიაც თქვენ ცხოვრობდით და ისიც თუ როგორ იტანჯებოდით თქვენ. ჩვენი დელეგატები უკვე შეეკითხენ თავის ქვეყნების ოფიციალურ წარმომადგენლებს, თუ რატომ არ გასცეს მათ პასუხი თქვენ მიერ დეკემბერში წარდგენილ მოხსენებაზე. ჩვენ დაუყონებლივ გაცნობებთ ოფიციალურ პასუხს. ჩვენ სურვილი გვაქვს ვიქონიოთ თქვენთან კავშირი საქართველოს სოც. დემ. საშუალებით. როგორც თქვენ ისე თქვენც შორს ვდგევართ, როგორც რუსეთის რეაქციიდან ისე ბოლშევიზმიდან და ვიზამთ ყველაფერს რის შეძლებაც გვექნება თქვენ დასახმარებლად. შავი ზღვის მხარის გლეხების დელეგაციის წევრმა გიუსმანსის წერილის საპასუხოთ ევროპის სოც. დელეგაციას მიმართა წერილით, რომელშიაც ულრმეს მადლობას უცხადებს დელეგაციას იმ ყურადღებისათვის, რომელიც გამოიჩინა მან შავი ზღვის მხარის გლეხებისადმი. წერილში აღნიშნულია, რომ შავი ზღვის მხარის გლეხების ერთ.ერთ მიზანს და სურვილს შეადგენს გარეშე ძალების ჩაურევლობა, მათ შორის გენ. ვრანგელისაც.

განცხადებანი

დაიკარგა პასპორტი № 3080, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან და მეტრიკა ეუშუაკ შალამის ძე ტეცოშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3001 3—3

დაიკარგა პასპორტი № 285 ელენა სტეფანეს ასული იარალიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3014 3—3

დაიკარგა პასპორტი № 138/24 გრიგორი ემანუილის ძე გოილოვის სახელზე, მიღებული კიშინიოვის პოლიცმეისტრის სამმართველოდან 1916 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3045 3—2

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ნიკოლოზ რომანეს ძე არხიპოვის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამართლოს უფროს ნოტარიუსისაგან 1918 წ. რეესტრის № 1109. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3053 3—2

დაიკარგა ჰირადობის მოწმობა № 692, მოწმობა ტფილისის მაზრაში ტოპოგრაფიული მუშაობის წარმოების შესახებ № 454 და იარაღის ტარების ნებართვა № 475 გიუგოლევგრენის სახელზე, მიღებული საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ტოპოგრაფიული განყოფილებიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3037 3—2

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის შესასვლელი ბილეთი № 21 პანტელეიმონ ბერიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3036 3—2

დაიკარგა განჯაში წასვლის ნებართვა აგა აბრამ მოლა ცულოლლის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3018 3—2

დაიკარგა მოწმობა სურათით № 1204 მილიციონერ თადეოზ ახვლედიანის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3019 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან და მეტრიკული მოწმობა მიღებული სომხების კონსისტორიიდან არმენაკ გრიგოლის ძე კაზანჯიანცის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3021 3—2

დაიკარგა ღვინო-გასტრონომიული მაღაზიის ნებართვა № 183 ვასილი ბეჟანის ძე ჩაჩიბაიას სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3023 3—2

დაიკარგა ჰირადობის მოწმობა სურათით მილიციონერ მალაქია სპირიდონის ძე გვამბრაძეს სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3025 3—2

დაიკარგა ატესტატი № 890 და მოწმობა 966 კონსტანტინე კონსტანტინეს ძე ტრესკინის სახელზე, მიღებული ტფ. რეალურ სასწავლებლიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3027 3—2

დაიკარგა სასურსათო წიგნაკი № 156 ვარდენ კიკაჩეიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მაზრის ერობის მოსამსახურეთა კავშირის საბჭოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3—2 (უფ.)

დაიკარგა ნასყიდობის სიგელები მიხეილ ივანეს ძე სავენკოვის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1912 წ. რეესტრის №№ 3604 და 3605. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3031 3—2

დაიკარგა უვადო საოჯახო პასპორტი და ჰირადობის მოწმობა, მიღებული ვარშავაში ლეონტი ვლაგას ძე პავლონსკის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2995 3—3

დაიკარგა მოწმობა, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან 1920 წ. № 4830 შალვა ნიკოლოზის ძე ძიზონაშვილის სახელზ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2998 3—3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი სამსონ ნესტორის ძე ჭველიძის სახელზე, მიღებული სოფ. მუხლიდან (რაჭის მაზრა) 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3063 3—1

დაიკარგა პასპორტი № 408 სიმონ ბიჭიას ძე მახარაძის სახელზე, მიღებული სენაკის სამმართველოდან 1909 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3065 3—1

დაიკარგა პასპორტი № 5057 აიკანუშ სარქისიანცის სახელზე, მიღებული სომხების საკონსულოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1—1 (უფ)

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდანგან თავისუფლების მოწმობა № 809 ერასტი ბახვას ძე ბერანძის სახელზე, მიღებული ზუგდიდის სამაზრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3068 1—1

დაიკარგა პასპორტი № 234 გრიგოლ იაკობის ძე პეტრენიკოვის სახელზე, მიღებული მარნის თემის გამგეობიდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3070 3—1

დაიკარგა მოწმობა № 9987 ეკატერინე ათანასის ძე არხიპოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3082 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი № 8. გრიგოლი ივანეს ძე მაისურაძის სახელზე, მიღებული მე-3 კომისარიატიდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3083 3—1

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნე-მეტყველების ფაკულტეტიდან მიღებული მატრიკული № 960 პროკოფი ნიკოლოზის ძე ნემსაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3084 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა № 1516 მიხეილ სოლომონის ძე ფანჩულიძის სახელზე, მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3079 3—1

დაიკარგა მოწმობა ჯარში გაწვევის შესახებ № 21. გიორგი ალექსის ძე გელაშვილის სახელზე, მიღებული ხუნევის თემის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3080 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან ორი თვით შვებულების მოწმობა, მოწმობა სურათით, მიღებული ბათომის საკონსულოდან 1919 წ. და არტელი „ვარსკვლავის" საწევრო წიგნაკი აქვსენტი ჯიჯეიშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3081 3—1

დაიკარგა ამიერ-კავკასიის ბანკის კვიტანცია № 1494 კოსტა ბახტაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3076 3—1

ერმალოზ, იგივე საშა, ირაკლის ძე მდივანი მცხოვრები სოფ. ზოვრეთში შორაპნის მაზრა, გაწვეული იყო მობილიზაციით 1914 წ. სამხედრო სამსახურში, მას შემდეგ მის შესახებ მისმა ნათესავებმა არაფერი იციან ამიტომ სთხოვენ ყველას, ვინც რამე იცის დაკარგულ მდივნის შესახებ აცნობონ ქ. ზესტაფონში თამარ მელიტონის ასულ საყვარელიძეს. 3023 1—1

დაიკარგა საბინაო დავთარი კათოლიკების ბანდი № 3 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის მარდანოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3078 3—1

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო თანახმად პლატონ ნესტორის ძე ბაკურაძის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს უვადო პასპორტი, მიცემული ზნაკვის საზოგადოებიდან მეტრიკული ამონაწერი და სალდათობის ნუსხა, მიცემული ქუთაისის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან, სთხოვს მპოვნელს აღნიშნული საბუთებისა წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში, ჩასაბარებლათ კუთვნილებისამებრ. 3032 1—1

ცეცხლისაგან ქონების საურთიერთო დაზღვევ ტფილისის საზოგადოების გამგეობა

აცნობებს თავის წევრებს,

რომ კვირას ოქტომბრის 10-ს დილის 11 საათზე საზოგადოების ბინაზე (ველიამინოვის ქ. № 2) შესდგება მეორეთ

საგანგებო საზოგადო კრება

რომელიც არ შესდგა მიმდინარე წლის სექტემბრის 26-ს. განხილულ და დამტკიცებულ იქნება გამგეობისა და მეთვალყურე კომიტეტის მოხსენებები: 1) საზოგადოების შემოსავალ-გასავალზე, 2) საპოლისო გადასახადის გადიდებაზე, 3) გამგეობის წევრის ვ. კ. ბარსამოვის მძიმე ავადმყოფობის შესახებ და 4) მიმდინარე საქმეებზე. ამასთანავე გამგეობა აუწყებს წევრებს, რომ საზოგადოების წესდების 26 მუხლის ძალით ეს კრება ჩაითვლება კანონიერად, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს. 1—1

930

სახელმწიფო სტამბა. რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი.